ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 322

ქალაქი ქუთაისი 25 სექტემბერი 2024 წელი

მოქალაქე მამუკი ნიქაბაძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით, 25 წლის ვადით სარგებლობაში გადაცემული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აღნაგობის ქირის ცვლილების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისის საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 17 სექტემბრის № 44-4424261332 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, მოქალაქე მამუკი ნიქაბაძისათვის (პირადი №60001071757) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით, 25 (ოცდახუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემული, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე ქალაქ ქუთაისში, 9 აპრილის ქუჩა №1ა-ში, ავტოგასამართი სადგურის აღმოსავლეთით არსებული სკვერის ნაწილი, ფართი - 419 კვ.მ; საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.01.24.368) წლიური აღნაგობის ქირის გაზრდის თაობაზე.

მუხლი 2. უძრავი ქონების წლიური აღნაგობის ქირა განისაზღვროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (27.08.2024 წელი, №5005276024) მიხედვით, რომელიც 1.0 კვ.მ. უძრავი ქონებისათვის განისაზღვრება 25 (ოცდახუთი) ლარისა და 52 თეთრის ოდენობით. სარგებლობაში გადაცემული ქონების წლიური სარგებლობის ქირა შეადგენს 10 692 (ათი ათას ექვსასოთხმოცდათორმეტი) ლარსა და 88 თეთრს, 5 (ხუთი) საანგარიშო წლის შემდეგ განხილულ იქნეს ქონების წლიური სარგებლობის ქირის გადახედვა, მისი გაზრდის მიზნით.

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა ქ ა რ ე ბ უ ლ ო
გას. № 165
„26" 09 2024 წ.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, უზრუნველყოს 2013 წლის 24 სექტემბრის ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების №38 აღნაგობის ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია